აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №16

4 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ 2004 წლის 1 ივნისის № 09/2004 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 1 ივნისის № 09/2004 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს რიცხვი 6 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ერთიანი (საბაზისო) სიის ფორმებს 2004 წლის 6, 8, 10 და 13 ივნისს გადასცემენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. მათთან ერთად საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცემა მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განცხადების ფორმები (ფორმა № 4-2.02.02).

ამავე მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს რიცხვი 7 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საოლქო საარჩევნო კომისები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2004 წლის 7, 9, 11 და 14 ივნისს გადასცენ უსკოს ამომრჩეველთა ერთიანი (საბაზისო) სიის ფორმები (ფორმა № 4-2.02.02), რომელიც სათანადო წესით იქნება შეკრული და აკინძული".

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე